

ციფრული ეკონომიკა საბანკო სექტორში

თამარ აბუაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური ტექნოლოგიების შემდგომი დანერგვა და მუდმივი განვითარება. ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები გლობალურ ფინანსურ გამოწვევებს გადაჭრიან ინოვაციური გადაწყვეტილებებითა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირებით.

Fintech არის რთული სისტემა, რომელიც აერთიანებს ახალი ტექნოლოგიებისა და ფინანსური სერვისების სექტორებს, სტარტაპებს და შესაბამის ინფრასტრუქტურას. საქართველოში ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭიროა FinTech-ის ბიზნეს ორგანიზაციების სისტემის აგება და გაძლიერება. შესაბამისად, სახელმწიფომ აქცენტები უნდა გააკეთოს ინოვაციური ტექნოლოგიებსა და პროცესებზე, შექმნას მაღალი სტანდარტები, გამოყოს რესურსები, ხელი შეუწყოს ფინტექის რეგიონული განვითარების რეგულირებას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური ინოვაციები, საბანკო სექტორი, ფინანსური ორგანიზაციები.

DIGITAL ECONOMY IN THE BANKING SECTOR

Tamar Abuashvili

Associate Professor of GTU

RESUME

For Georgia, as a developing country, further implementation and continuous development of financial technologies is particularly important. Banks and financial organizations will solve global financial challenges with innovative solutions and investments in new technologies.

Fintech is a complex system that combines new technology and financial services sectors, startups and related infrastructure. For the development of financial technologies in Georgia, it is necessary to build and strengthen the system of FinTech business organizations. Accordingly, the state should focus on innovative technologies and processes, create high standards, allocate resources, promote the regulation of fintech regional development.

Key words: digital economy, digital technologies, technological innovation, FinTech, banking sector, financial organizations.

* * * *

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ თითქმის ყველა სფეროში დაიმკვიდრა თავისი ადგილი და ესა თუ ის მიმართულება განვითარებისთვის უზრუნველყოფს ახალ რეზერვებს გადაიყვანა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა გააქრო ადამიანთა შორის ბარიერები და საზღვრებიც, რითაც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისთვის ფეხის აწყობასა და ადამიანის შესაძლებლობების პოტენციალის გაზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ციფრული რევოლუცია, რომელსაც ასევე მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციადაც მოიხსენიებენ, წინამორბედებისგან განსხვავებით უსწრაფესად მიმდინარეობს. მისი ტემპი, მასშტაბი და სიღრმე აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში შეცვლის ყველა ინდუსტრიას. ტექნოლოგიური ინოვაციები ეკონომიკურ ბარიერსაც მოსპობს, რითაც ამ სფეროს პროდუქტიულობასა და ხელმისაწვდომობას გაზრდის. თანამედროვე ეკონომიკა ციფრულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ციფრული პროცესები ეკონომიკის იმდენად შერწყმული ნაწილია, რომ ცალკე ტერმინი – ციფრული ეკონომიკა გაჩნდა.

ბოლო პერიოდში ციფრული ეკონომიკა გლობალურ პროცესად ჩამოყალიბდა. მისი პოტენციური ძალა, საჯარო და ბიზნეს სექტორს ციფრული ინოვაციების გავლენის ქვეშ აქცევს. თუმცა ეკონომიკის დიფიციტალიზაციის ფორმირების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია ქვეყნის მზაობა. რაც უფრო მაღალია მისი ციფრული მზადყოფნა, მით მეტია სარგებელი, ხოლო დაბალი მზადყოფნის შემთხვევაში პირიქით – ახალი გამოწვევები ჩნდება. საკანონმდებლო ბაზის მომზადება, ცნობადობისა და სწავლების გაძლიერება, ციფრული მენარმეობის მხარდაჭერა – ის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც ქვეყნის მზაობას განსაზღვრავს. ციფრული ეკონომიკის, როგორც დომინანტის წილიც ნელ-ნელა იზრდება, ტრადიციული ეკონომიკის დარგები კი უკან იხევს.

ციფრული ეკონომიკის გაჩენისა და განვითარების იმპულსი იყო ჯიბის კომპიუტერების, მობილური ტელეფონების, ციფრული კამერების, სატელიტური ნავიგაციის, ღრუბლოვანი გამოთვლის, ჩაშენებული სენსორების და ა.შ. აქტიური მოხმარება. ტერმინი „ციფრული ეკონომიკა“ პირველად გამოიყენა დონ ტაპსკოტმა. ამავე სახელწოდების წიგნში, მან აღწერა როგორც გაჩენა, ისე ინტერნეტის გამოყენება, რაც ბიზნესის კეთების ტექნოლოგიას უწყობს ხელს. თუმცა, ციფრული ეკონომიკა

გულისხმობს არა მხოლოდ ონლაინ პროცესებსა და ტრანზაქციებს, არამედ ბიზნეს კომუნიკაციის თითქმის ყველა ასპექტის დიგიტალიზაციას. მაგალითად, ციფრულმა ეკონომიკამ გამოიწვია ონლაინ საფულებების და ციფრული ვალუტების გაჩენა.

ინოვაციური ფინანსური ონლაინ პლატფორმების გამოყენებით მომხმარებლებს საშუალება ეძლევა მოახდინონ საკრედიტო რესურსებზე წვდომა საბრუნავი საშუალებების შესავსებად, მოახდინონ გადარიცხვები და სხვა ფინანსური მომსახურება. მსოფლიოში საფინანსო მომსახურების სექტორი უმსხვილესია შემოსავლების თვალსაზრისით, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრის ბიზნეს ორგანიზაციებს, კომერციული ბანკებს, საკრედიტო კომპანიებს, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებს და ა.შ.¹ ბოლო პერიოდში, FinTech-მა ციფრულ ეკონომიკაში კლასიკური საბანკო სისტემის გადატვირთვა გამოიწვია.

ფინტექი გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: იგი არის ტექნოლოგიური ინოვაცია და ხასიათდება სისწრაფით, სიმარტივით, მოქნილობითა და კომფორტულობით, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსური სერვისის განვითარებაზე; აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია ოფისიდან გაუსვლელად ფინანსურ რესურსებზე წვდომა და მათი მართვა.

როგორც ცნობილია, საბანკო სექტორი და ფინანსური ორგანიზაციები დიდი ხნის მანძილზე თავიანთი კონსერვატიული მიდგომებით გამოირჩეოდნენ. შედეგად ბევრმა მათგანმა დაკარგა კონკურენტუნარიანობა ბაზარზე, ვინაიდან ასპარეზზე გამოჩნდნენ ისეთი ახალი მოთამაშეები, რომლებიც იყენებდნენ თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებს. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, სპეციალისტების აზრით, სამწუხაროდ უახლოეს 10 წლის მანძილზე ფინანსური მომსახურების სფეროში დასაქმებული დაახლოებით 800 ათასი ადამიანი დაკარგავს სამსახურს, თუმცა თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი შეუქცევადი და აუცილებელია.²

ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეინიშნება საფინანსო ინდუსტრიაში. ბანკებისთვის აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შეიძლება გახდეს საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმა ფინტექ-სტარტაპებთან. მსგავსი კავშირის მაგალითია უმსხვილესი საბანკო ჰოლდინგის JPMorgan Chase – სა და მცირე კომპანიებზე ონლაინ სესხების გამცემ პლატფორმა ONDeck-ს შორის პარტნიორული შეთანხმება ერთობლივი კომპანიის შექმნის თაობაზე.

თანამედროვე ბანკები შესამჩნევად განსხვავდებიან თავის წინამორბედი ბანკებისგან. დღეს, ბანკები იმყოფებიან ციფრული ინოვაციების ცენტრში. მეტი ინოვაცია საბოლოოდ ნიშნავს ახალ პროდუქტს და მოქნილ სერვისს, რომელმაც უკეთესად უნდა უპასუხოს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ამარტივებს და უფრო კომფორტულს ხდის ადამიანების ურთიერთობას ბანკთან. ინოვაციები ასევე ხელს უწყობს კომპანიას უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს უკვე არსებული სერვისები.³

ბოლო წლებში საქართველო ტექნოლოგიების მიმართულებით საკმაოდ წინ წავიდა და დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია FinTech შესაძლებლობებისთვის. მსოფლიოს მსხვილი FinTech კომპანიებისთვის საქართველოში ინვესტიციების განსახორციელება მიმზიდველია, რადგან ხედავენ, რომ უკვე ბევრი დიდი კომპანია წარმატებით მოღვაწეობს ქვეყანაში. საქართველოში ფინტექ კომპანიების დიდი მრავალფეროვნებაა. აქ მომხმარებელს ინოვაციურ ფინანსურ სერვისებს წარმატებით სთავაზობენ როგორც ახლად დაარსებული სტარტაპები, ისე მსხვილი, ტრადიციული ფინანსური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები.

საბანკო სექტორმა საქართველოში სწრაფად გააცნობიერა მომხმარებლებისათვის ფინანსური ინოვაციების აუცილებლობა და მნიშვნელობა და თავად დაიწყო ფინტექებთან თანამშრომლობით მომხმარებელისთვის ონლაინ საბანკო სერვისების მიწოდება, რაც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მარტივად განახორციელოს სხვადასხვა ოპერაციები მცირე დროში.


დღეს საქართველოში გვხვდება როგორც საგადახდო საშუალებების პროვაიდერი კომპანიები, ასევე სესხის გამცემი და კრიპტოვალუტით ვაჭრობის პლატფორმაც. აგრეთვე, 2018 წლიდან ფუნქციონირებს პირველი ქართული ნეობანკი (NeoBank), სრულიად ციფრული ბანკი Space Bank, მხოლოდ მობილური აპლიკაცია, ყოველგვარი ტრადიციული ფიზიკური ფილიალების გარეშე. ამ აპლიკაციის საშუალებით, მომხმარებელს შეუძლია მიიღოს საცალო საბანკო მომსახურების სრული სერვისი, როგორცაა სესხები, გადახდის ბარათები და შემნახველი პროდუქტები. შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელზე ორიენტირებულმა ყოველდღიურმა საბანკო სისტემამ მთლიანად შეცვალა საქართველოს მოსახლეობის ფინანსურ მომსახურებაზე წვდომა.

თანდათანობით იზრდება გადახდების ბარათებით ონლაინ ტრანზაქციების რიცხვი. საკმაოდ

1 <http://www.tagonline.org/files/documents/FinTech/tag-fintech-ecosystem-report-2016.pdf>

2 მედეა ჭელიძე, მარინე თოფჩიშვილი, ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. N5/ 2018 გვ.246

3 <https://forbes.ge/tbc-banki-meti-inovatsiis-dzie/>



წყარო: საქართველოს ფინტექ ასოციაცია. <https://nbg.gov.ge/en/media/news/panel-discussion-on-open-banking>

პოპულარული გახდა ელექტრონული კომერცია ქვეყანაში. საქართველოში მომხმარებლები ელექტრონული საფულეებით და საკრედიტო ბარათებით გადახდის მეთოდს იყენებენ ნივთების გამოსაწერად. ისინი ხშირად იყენებენ ელექტრონული კომერციის ისეთ ვებსაიტებს, როგორიცაა: eBay, Amazon და AliExpress. მომხმარებლებს, ასევე შეუძლიათ ისარგებლონ P2P სესხებით.

საქართველოს ფინტექ ასოციაციის მონაცემებით საქართველოს ფინტექ ეკოსისტემა დღეისათვის 25 ფინტექ კომპანიას ითვლის, რაც პატარა ქვეყნისთვის არცთუ ცოტაა. პროცენტულად ფინტექ კომპანიები ფინტექ ეკოსისტემაში წარმოდგენილნი არიან დიაგრამაზე.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით დღესდღეობით ბაზარზე რეგისტრირებულია 33 აქტიური საგადახდო მომსახურების პროვაიდერი.⁴ ინოვაციური ფინანსური სერვისების მიწოდება მხოლოდ ახალი კომპანიის ფარგლებში კი არ ხდება, არამედ ხშირად ეს მოქმედი ორგანიზაციების ქოლგის ქვეშ ხორციელდება. ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აცნობიერებენ რა ტექნოლოგიური სიახლეების მნიშვნელობას მათ საქმიანობაში, მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისთვის.

საქართველოში ღია ბანკინგის სისტემის დანერგვა ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ფინტექების საქმიანობის გაფართოვებას, მეორეს მხრივ კი მნიშვნელოვნად შეცვლის ტრადიციული საბანკო ბიზნესის მოდელს და აღნიშნული საბანკო სისტემის ჰეგემონია წარსულში დარჩება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, საქა-

რთველოს ეროვნულმა ბანკმა საგადახდო მომსახურების შესახებ მეორე დირექტივის (PSD2 – Payment Services Directive 2) იმპლემენტაციის ფარგლებში, საქართველოში 2021 წლის მარტიდან ღია ბანკინგის დანერგვა დაიწყო, რომელიც სრულად 2021 წლის ბოლოს ამოქმედდა და ფიზიკური პირების გარდა არასაბანკო სექტორისთვისაც გახდება ხელმისაწვდომი, რაც ერთის მხრივ გაზრდის კონკურენციას ფინტექებს და ბანკებს შორის, მეორეს მხრივ კი მათ უკეთესი თანამშრომლობის შესაძლებლობებიც მიეცემა.⁵

დისტანციური ბანკინგი (RB) კლიენტისთვის, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის, საბანკო მომსახურების მიწოდების მეთოდია, რომელიც ხორციელდება (ძირითადად ტელეფონი, ინტერნეტი) ბანკში მისი პირდაპირი ვიზიტის გარეშე. ინტერნეტ ბანკინგი არის ბანკინგის ერთგვარი ტექნოლოგია, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ანგარიშების წვდომა ტრანზაქციებზე ნებისმიერ დროს და ნებისმიერი კომპიუტერიდან, რომელსაც აქვს წვდომა ინტერნეტთან.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ “გაციფრულება” არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სტარტაპების გაჩენას ბაზარზე. მთავარია, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს. ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებობენ ბანკები, რომლებიც მთლიანად ონლაინ რეჟიმში მუშაობენ. იმისათვის, რომ შევძლოთ მათთან თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, საჭიროა ფეხი ავუწყოთ ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/payment-system/providers>

⁵ <https://nbg.gov.ge/publications/annual-reports>

ეკონომიკური ზრდა სხვაგვარად შეუძლებელი გახდება. ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს განათლებაში გასატარებელ რეფორმას და რიგ რეგულაციებს, რომელთა მოგვარება სახელმწიფოს აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი. მთავრობამ უნდა დაადგინოს სტიმულები და ხელი შეუწყოს ნაციონალური FinTech-ის ინდუსტრიის განვითარებას.

ქვეყნის განვითარების მაღალტექნოლოგიური ინოვაციური სცენარის განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა

იტვირთოს პოსტინდუსტრიული ინფრასტრუქტურის შექმნის დანახარჯების სიმძიმე, მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად წაახალისოს კერძო ბიზნესი ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ინვესტიციების ჩასადებად. აუცილებელია მთავრობის სტრუქტურაში შეიქმნას ინოვაციური პროცესის წარმართვისა და რეგულირების სტრუქტურა, რომელიც სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ჩამოაყალიბებს ინოვაციური სფეროს პროგნოზირებისა და განვითარების გრძელვადიან, საშუალოვადიან და მოკლევადიან პროგრამებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე რ. ტექნოლოგიები ფინანსებში – მსოფლიოს მიღწევები და საქართველოს პერსპექტივები, 2016 წ.
2. <https://geoeconomics.ge/?p=14510> (ბოლოს გადამოწმებულია 24.03.2024)
3. <http://www.tagonline.org/files/documents/FinTech/tag-fintech-ecosystem-report-2016.pdf>
4. აბულაძე რ, ვეშაგური მ. „ციფრული ევოლუცია ფინანსურ სექტორში: ფინტეკი. 2016 წ.. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“: ტ. IX, No2.
5. ჭელიძე მ, თოფჩიშვილი მ., „ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. N5, 2018 წ.
6. <https://nbg.gov.ge/en/media/news/panel-discussion-on-open-banking>
7. <https://forbes.ge/tbc-banki-meti-inovatsiis-dzie> (ბოლოს გადამოწმებულია 24.05.2024)
8. <https://argacherde.bog.ge/teqnologiebi/fintech/quickcash-biznesis-kreditunaria> (ბოლოს გადამოწმებულია 20.03.2024)
9. <https://nbg.gov.ge/publications/annual-reports> (ბოლოს გადამოწმებულია 15.04.2024)